

# 87 წელი თქვენთან ერთად!

87 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.



„არს მისი კალთას, სკანდას, სასახლე მუყუთა და ცხე დიდი, დიდუნა“  
ვახუშტი ბაბრათიონი

# თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №23-24 {7029} 15 დეკემბერი 2020 წელი • www.Terjola.gov.ge

## კორონავირუსი ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებისა და ფიზიკური არსებობის დიდი საფრთხე!



კოვიდ-19 ვირუსული პანდემიის თემა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კარგა ხანს იქნება უმძაფრესი მსოფლიო პრობლემა. შემაშფოთებელია, რომ დაინფიცირების პირველი შემთხვევების გამოვლენიდან, ვირუსის გავრცელების მასშტაბები და გარდაცვლილთა რაოდენობა დღითიდღე კატასტროფულად იზრდება. ჯანდაცვის სისტემა ვეღარ აუდის დაავადებულთა კრიტიკულ რაოდენობას, დაავადებულია მედიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი, პრობლემები დამძიმდა სასწრაფო-სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით.

სწორედ ასეთი კატასტროფული მდგომარეობის გამო საქართველოს მთავრობამ დაანესა ახალი შეზღუდვები და მოქმედებაში შეიყვანა ანტიკრიზისული პროგრამის მე-4 ეტაპი—მოქალაქეებისა და კერძო სექტორის მხარდაჭერის ახალი პაკეტი, რომლებსაც ჩვენი გაზეთის მე-3 და მე-4 გვერდებზე გთავაზობთ.

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცებულია!



თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მომავალი 2021 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტის მოსამზადებლად ერთობლივად, შესაბამისი კოლეგიალობით ნაყოფიერად იმუშავეს მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ, მერიის სამსახურებმა და საკრებულოს კომისიებმა. შედეგად, შესაძლებელი გახდა, რომ 2021 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი ოპერატიულად დამტკიცებულიყო მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის 2 დეკემბრის სხდომაზე.

☎ 5, 6, 7, 8, 10

## ბეჟან ნაქაძე საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი

21 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის არჩევნების №21 მაჟორიტარულ ოლქში (ზესტაფონი, თერჯოლა, ბაღდათი, ტყიბული) ჩატარებული არჩევნების მეორე ტურში მიღებული ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა „ქართული ოცნება—დემოკრატიული საქართველო“ მაჟორიტარობის კანდიდატმა ბეჟან ნაქაძემ.



ვულოცავთ ბატონ ბეჟანს იმერეთის ოთხი მნიშვნელოვანი მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა ნდობის მანდატის მოპოვებას და ვუსურვებთ ღირსეული წვლილი შეეტანოს ამ მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

## ლაშა გოგიაშვილი: „ხალხთან მაქსიმალურად ახლოს და მუშაობა რაც შეიძლება ნაკლები ბიუროკრატიის ხარჯზე“

24 ნოემბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეულ მერს პირველი სამუშაო დღე ჰქონდა



☎ 2

### დეკემბერი

- 17 ბარბარობა.
- 19 ნიკოლოზობა.
- 24 ყოველთა წმიდათა საქართველოში წამებულთა და ღირსთა მამათა და დედათა.
- 25 სპირიდონობა.

### მკითხველის საყურადღებოდ!

კორონავირუსული პანდემიის პირობებში, ბექდვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, გაზეთ „თერჯოლის“ ყოველი თვის ორი ნომერი გამოდის ერთად. საჭიროების შემთხვევებში დაგვიკავშირდით საკონტაქტო ტელეფონებზე და მოგვწერეთ ელექტროფოსტით.

# ლაშა გოგიაშვილი: „ხალხთან მაქსიმალურად ახლოს და მუშაობა რაც შეიძლება ნაკლები ბიუროკრატიის ხარჯზე“

## 24 ნოემბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეულ მერს პირველი სამუშაო დღე ჰქონდა

24 ნოემბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის ყოფილ შემსრულებელს ლაშა გოგიაშვილს, მუნიციპალიტეტის არჩეული მერის რანგში პირველი სამუშაო დღე ჰქონდა.

ეს დღე მან მერიის იმ თანამშრომლებთან შეხვედრით დაიწყო, რომლებიც კორონავირუსით დაინფიცირების ან დაინფიცირებულებთან კონტაქტის გამო, ერთგვარად შემცირებული რაოდენობით შეხვდნენ ახლადარჩეულ მერს და წარმატებები უსურვეს მას მომავალ საქმიანობაში.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების პირველმა პირმა ამ დღეს სამი მთავარი გზავნილი გააჟღერა.

პირველი ეს იყო მესიჯი ხალხთან მაქსიმალურად ახლოს ყოფნის და რაც შეიძლება ნაკლები ბიუროკრატიის ხარჯზე მუშაობის თაობაზე.

„მერის მოვალეობას ვასრულებდი უკვე 8 თვეა, აქედან, თითქმის ორი თვე არჩევნებში მონაწილეობის გამო შევბუღებულ ვიყავი. არჩეული მერის რანგში დღეს მოვედი სამსახურში. შევხვდი თანამშრომლებს, რომლებსაც ძირფესვიანად ვიცნობ და ყველაფერი გარკვეული გვაქვს ერთმანეთში. მათ იციან, რომ როცა მოვალეობას ვასრულებდი, მაშინაც და ახლაც, ჩემი მთავარი გზავნილია, რაც შეიძლება ახლოს ვიყოთ ხალხთან, ნებისმიერი პრობლემა, რაც ჩვენს მოსახლეობას გააჩნია მაქსიმალურად მალე მოგვარდეს, არ იყოს ბევრი ბიუროკრატია, იყოს მათი მაქსიმალური გვერდში დგომა“.

მერმა განსაკუთრებული ყურადღება კორონავირუსულ პანდემიასა და ვირუსით გამოწვეულ ურთულეს პრობლემებზე გაამახვილა. იმის გამო, რომ კოვიდ-19 მერიის რამდენიმე თანამშრომელს დაუდასტურდა, ადგილობრივი ხელისუფლება მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასული, თუმცა სირთულეების მიუხედავად, როგორც მერი განმარტავს, პროცესის სწორი მართვა ადგილობრივ უწყებებს მოსახლეობასთან კომუნიკაციაში ხელს არ უშლის.

„დისტანციურ მუშაობაზე მთლიანად არაა, მაგრამ გარკვეულწილად მაინც დისტანციურზე ვართ, ჩვენ ბევრ თანამშრომელს აღმოაჩნდა კორონავირუსი და აქედან გამომდინარე ზოგი თვითიზოლაციაშია, ზოგი მკურნალობს, ასევე თვითიზოლაციაში გადავიყვანეთ მათთან სამსახურებრივად შეხებულობაში მყოფი ჩვენი თანამშრომლები, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მერიის სამსახურებს არ შექმნიათ არავითარი პრობლემა, ყველაფერს თავს ვართმევთ—ვართ იმ დაძაბულ რეჟიმში, როგორც მთელი მსოფლიო, მთელი ქვეყანა. შეიძლება ითქვას ხელი გვიდევს პრობლემის მაჯაზე და ვართ რეჟიმში, რასაც ჰქვია კოვიდის მართვა“.

მერმა ასევე განაცხადა, რომ მერიის მთავარი გამოწვევა კორონა პანდემიასთან ერთად მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურაა, რომელიც, როგორც იგი ამბობს, კოვიდ-19-თან დაკავშირებული სირთულეების მიუხედავად არ შეჩერებულია და ამ მიმართულებით მუშაობა მომავალი წლის განმავლობაშიც ინტენსიურად გაგრძელდება. იგეგმება დამატებით 25 პროექტის განხორციელება.

„ჩვენი ქვეყნის და ჩვენი მთავრობის პირდაპირი მოთხოვნაა, რომ არანაირი ინფრასტრუქტურული პროექტები არ შენეიდეს და არც გაჩერდეს.“

ჩვენთანაც ასეა—ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი, ისეთივე აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს, როგორც ეს ადრე პანდემიამდე იყო“—აღნიშნა ახლადარჩეულმა მერმა.

ინფორმაციისათვის კვლავ აღვნიშნავთ, რომ ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს სამუშაოები 6 სოლიდურ გარდამავალ ინფრასტრუქტურულ პროექტზე, რომელთა საერთო ღირებულება 15 მლნ. ლარია.

როგორც უკვე იკვეთება, ინფრასტრუქტურული პროექტების მხრივ მომავალი წელიც მეტად დაძაბული იქნება, რაც მერიის სამსახურების განსაკუთრებულ დაძაბულ და გონივრულ მუშაობას მოითხოვს.

იმედი დავიტოვოთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტის პროცესს ეფექტურად წაიყვანს მოსახლეობისათვის სასიკეთო მიმართულებით.

ამ ბრძოლის წინა ხაზზე კიდევ ერთხელ წარმატებები ვუსურვოთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეულ მერს მერიის სამსახურებთან ერთად.

# მხარდაჭერა მეურნე ქალბატონებს

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ და მარტოხელა ქალბატონებს, რომლებიც მცირე მეურნეობით არიან დაკავებული, მათივე საქმიანობისთვის საჭირო ტექნიკა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები გადაეცათ.

აქცია ფერმერ ქალთა ასოციაციის ინიციატივით, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით გაიმართა.

„საოცრად კარგი საქმეა იმ ქალბატონებისთვის, რომლებიც სოფლად მცირე მეურნეობით არიან დაკავებული. საქმის პარალელურად ისინი მრავალშვილიანი დედები არიან. ასეთი სახის დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პანდემიის პირობებში. მათ საჩუქრად გადაეცათ შესანამლი ტექნიკა, მცენარეთა დაცვის საშუალებები და სხვა ინვენტარი, რაც მათ საქმიანობას შეუმსუბუქებს და კიდევ უფრო ეფექტურს გახდის“,—აცხადებს ფერმერ ქალთა ასოციაციის იმერეთის რეგიონის კოორდინატორი



მარიკა ვაჭარაძე.

ბენეფიციარების შერჩევასა და საჩუქრების გადაცემის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი მირზა ქორიაშვილი, ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი დიანა ფოცხვერაშვილი.

# სიახლე...

მოქალაქეებს ახალი საინფორმაციო პორტალის საშუალებით შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია, ოჯახის ექიმის ვინაობისა და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების შესახებ <http://ambulatoria.moh.gov.ge/>.

პორტალზე პირადი ნომრის მითითებით, მოქალაქეს შეუძლია გაარკვიოს, თუ რომელ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაშია რეგისტრირებული და ასევე იღებს ინფორმაციას ოჯახის ექიმის ვინაობის შესახებ, რომელიც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მეთვალყურეობას განახორციელებს.

თუ მოქალაქე სარგებლობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, უნდა მიმართოს ოჯახის ექიმს, ან იმ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც რეგისტრირებულია.

თუ მოქალაქე სარგებლობს კერძო დაზღვევით, უნდა დაუკავშირდეს სადაზღვეო კომპანიის ოჯახის ექიმს.

თუ მოქალაქე არ არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარი და არც კერძო დაზღვევით სარგებლობს, ან არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარი, მაგრამ არცერთ სამედიცინო დაწესებულებაში არ არის დარეგისტრირებული, უნდა დაუკავშირდეს ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს: 1505

საინფორმაციო პორტალის ამოქმედების მიზანი,

# გამოცხადდა კონკურსი „სუფთა რეგიონი 2020“

კონკურსი ტარდება პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების („საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამინის მეგობრები - საქართველო“, დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ - KGT, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“) მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან“ და მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან თანამშრომლობით, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შეუძლია წარმოადგინოს ფოტო-მასალა შემდეგი ნომინაციებისთვის:

- სუფთა ქუჩა
- ლამაზი ეზო
- ლამაზი აივანი
- ყველაზე სუფთა საწარმოს ეზო.
- ფოტოების გამოგზავნა შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე [terjolimeria@gmail.com](mailto:terjolimeria@gmail.com)
- მისამართისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.
- ფოტო-მასალის მიღება გაგრძელდება მ/წ 15


**ოჯახის ექიმის/სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის მისაღებად**

**ახალი საინფორმაციო პორტალი ამოქმედდა**

**AMBULATORIA.MOH.GOV.GE**

112-ში განხორციელებული ზარების შემცირება და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

ოჯახის ექიმის / სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ საინფორმაციო პორტალს: <http://ambulatoria.moh.gov.ge/> ან დაუკავშირდით ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს: 1505



დეკემბრის ჩათვლით.

ნომინაციებში გამარჯვებულები სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ გამოვლინდებიან 2021 წლის იანვარში.

# კორონავირუსი—ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებისა და ფიზიკური არსებობის დიდი საფრთხე!

კოვიდ-19 ვირუსული პანდემიის თემა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კარგა ხანს იქნება უმძაფრესი მსოფლიო პრობლემა. შემაშფოთებელია, რომ დაინფიცირების პირველი შემთხვევების გამოვლენიდან, ვირუსის გავრცელების მასშტაბები და გარდაცვლილთა რაოდენობა დღითიდღე კატასტროფულად იზრდება. ჯანდაცვის სისტემა ვეღარ აუდის დაავადებულთა კრიტიკულ რაოდენობას, დაავადებული მედიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი, პრობლე-

მები დამძიმდა სასწრაფო-სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით. სწორედ ასეთი კატასტროფული მდგომარეობის გამო საქართველოს მთავრობამ დაანესა ახალი შეზღუდვები და მოქმედებაში შეიყვანა ანტიკრიზისული პროგრამის მე-4 ეტაპი—მოქალაქეებისა და კერძო სექტორის მხარდაჭერის ახალი პაკეტი, რომლებსაც ჩვენი გაზეთის მე-3 და მე-4 გვერდებზე გთავაზობთ.

## მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მე-4 ეტაპი - მოქალაქეების და კერძო სექტორის მხარდაჭერის ახალი პაკეტი

1. მოქალაქეებზე ზრუნვა - პროგრამის საერთო ბიუჯეტი - 545 მლნ ლარი. ბენეფიციართა საერთო რაოდენობა: 500 ათას პირზე მეტი (ამ ციფრებში არ შედის კომუნალური გადასახადების სუბსიდირების მაჩვენებელი) - კომუნალური ხარჯების სუბსიდირება - 4 თვის (ნოემბრიდან თებერვლის ჩათვლით) განმავლობაში განვასრულებთ კომუნალური ხარჯების სუბსიდირებას (200 კვტ/მ<sup>3</sup>-მდე მოხმარება). ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა - 1 მილიონი ოჯახი. ბიუჯეტი 270 მლნ ლარი; - 1200 ლარიანი დახმარება სამსახურდაკარგული პირებისთვის - ფორმალურ სექტორში დასაქმებული პირები, ვინც დროებით დაკარგა სამსახური, 2021 წლის იანვრიდან 6 თვის განმავლობაში მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა - 125,000 პირი. ბიუჯეტი - 150 მლნ ლარი;

- 300 ლარიანი ერთჯერადი დახმარება - გაიცემა 300 ლარიანი ერთჯერადი კომპენსაციები იმ ობიექტებში დასაქმებული პირებისა და ინდ. მენარმეების სასარგებლოდ, რომელთაც საქმიანობა შეუჩერდებათ დეკემბერსა და იანვარში დაწესებული დამატებითი შეზღუდვების შედეგად. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა - 100 ათასი. ბიუჯეტი - 30 მლნ ლარი; - 600 ლარიანი დახმარება - 65-დან 100 ათას სოციალურ ქულამდე მყოფი ოჯახები იანვრიდან, თვეში საშუალოდ 100 ლარის ოდენობით (ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით) დახმარებას მიიღებენ 6 თვის განმავლობაში. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა 72 ათასამდე ოჯახი (220 ათასამდე პირი), ბიუჯეტი - 55 მლნ ლარი; - 600 ლარიანი დახმარება - 0-დან 100 ათას ქულამდე მყოფი ოჯახებისთვის, რომლებსაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლამდე ბავშვი, 6 თვის განმავლობაში

მიიღებენ თვეში 100 ლარს (იანვრიდან ივნისის ჩათვლით) - 24 ათასი ოჯახი. ბიუჯეტი - 15 მლნ ლარი; - 18 წლამდე შშმ და მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისთვის გაიცემა 600 ლარიანი დახმარება - თვეში 100 ლარი, 6 თვის განმავლობაში. ბენეფიციარების რაოდენობა - 43 ათასი პირი. ბიუჯეტი - 27 მლნ ლარი; - საბანკო სესხების გადავადების შესაძლებლობა ექნებათ იმ ობიექტებში დასაქმებულ პირებს, რომელთა საქმიანობა იზღუდება დეკემბერი-იანვრის განმავლობაში. 2. ბიზნესის მხარდაჭერის პაკეტი - 515 მლნ ლარი - სამშენიანო გადასახადის შეღავათი - 1500 ლარამდე ხელფასის მქონე პირები 750 ლარამდე თანხის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებიან 2021 წლის დეკემბერი-იანვრის პერიოდში. ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა: 33 ათასი კომპანია და 425 ათასი

დასაქმებული. ბიუჯეტი - 260 მლნ ლარი. - ქონების გადასახადის შეღავათი ტურიზმის სექტორისთვის - ტურიზმის სექტორი (სასტუმროები, რესტორნების და მსგავს საქმიანობაში ჩართული ქონება) 2021 წელს გათავისუფლდება ქონების გადასახადისგან. ბიუჯეტი - 45 მლნ ლარი; - 2020 წლის 4 თვის გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ჩამონერა - განხორციელდება ტურიზმის სექტორში (სასტუმროები, რესტორნების და მსგავს საქმიანობაში ჩართული კომპანიები) 2020 წლის 1-ელ დეკემბრამდე გადავადებული საშემოსავლო გადასახადის ჩამონერა. ბიუჯეტი - 20 მლნ ლარი; - გაგრძელდება სასტუმროების საბანკო სესხების პროცენტის სუბსიდირება, ასევე ამოქმედდება რესტორნების საბანკო სესხების პროცენტის სუბსიდირება 6 თვის განმავლობაში. ბე-

ნეფიციართა სავარაუდო რაოდენობა - 3700 კომპანია; - მიკრო გრანტების პროგრამა - მიმდინარეობს მენარმეობის მიკრო გრანტების პროგრამა, რომელიც ათასობით ახალ ბიზნესპროექტს დააფინანსებს (2020 წლის პროგრამა). ბიუჯეტი - 40 მლნ ლარი; - საკრედიტო-საგარანტიო ფონდი - 2021 წელს აქტიურად გაგრძელდება საკრედიტო-საგარანტიო ფონდის მუშაობა, რომელიც დაეხმარება კერძო სექტორს როგორც არსებული სესხების რესტრუქტურისა-ციაში, ასევე, ახალი სესხების მოზიდვაში. ბიუჯეტი - 100 მლნ ლარი; - საბანკო სესხების გადავადების შესაძლებლობა ექნებათ იმ კომპანიებს, რომლებსაც შეზღუდვებით საქმიანობა დეკემბერი-იანვრის პერიოდში. - ჯამში, ახალი პაკეტის მთლიანი ბიუჯეტი 1,1 მილიარდ ლარს შეადგენს.

## საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული ახალი შეზღუდვები (2020 წლის 28 ნოემბერი—2021 წლის 31 იანვარი. მოცემულია კითხვა-პასუხის ფორმატში) დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებული შესაძლო კითხვები

**გადაადგილება**  
1. იზღუდება თუ არა საქალაქთაშორისო მიმოსვლა? დიახ, 28 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე, ასევე 3 იანვრიდან 31 იანვრამდე, იზღუდება მგზავრთა რეგულარული გადაყვანა სამარშრუტო ტაქსებით, ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით), ასევე რკინიგზით. საქალაქთაშორისო ტრანსპორტი იმუშავებს 24 დეკემბრიდან 2 იანვრის ჩათვლით.  
2. შესაძლებელია თუ არა კერძო კომპანიამ თანამშრომელთა საქალაქთაშორისო ტრანსპორტირება პერიოდულად განახორციელოს? დიახ, შესაძლებელია.  
3. შესაძლებელია თუ არა მსუბუქი ავტომობილით გადაადგილება? დიახ, მსუბუქი ავტომობილით, მათ შორის ტაქსებით გადაადგილება დაშვებულია 05:00 სთ-დან 21:00 სთ-მდე, სპეციალური ნებართვების გარეშე.  
4. შესაძლებელია თუ არა მსუბუქი ავტომობილით საქალაქთაშორისო გადაადგილება? დიახ, მსუბუქი ავტომობილით ან ტაქსით საქალაქთაშორისო გადაადგილება დასაშვებია სპეციალური ნებართვის გარეშე.  
5. ჩერდება თუ არა მუნიციპალური ტრანსპორტი? ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. ბათუმის, ქ. რუსთავის, ქ. გორის, ქ. ზუგდიდის, ქ. ფოთის, ქ. თელავის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის

მუშაობა სრულად შეჩერებულია 28 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე, ასევე 3 იანვრიდან 16 იანვრამდე.  
6. იკრძალება თუ არა ტაქსით გადაადგილება დღის საათებში? ტაქსით გადაადგილება 05:00 სთ-დან 21:00 სთ-მდე დაშვებულია.  
7. ძალაშია თუ არა აკრძალვა ღამის საათებში გადაადგილების შესახებ? დიახ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 21:00 საათიდან 05:00 საათამდე იკრძალება გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებებით, ასევე საჯარო სივრცეში ყოფნა.  
გამონაკლისი იქნება ახალი წლის ღამე - 31 დეკემბრის 21:00-დან, 1 იანვრის 05:00 საათამდე და შობის ღამე - 6 იანვრის 21:00 საათიდან, 7 იანვრის 05:00 საათამდე, რა დროსაც გადაადგილება არ იქნება შეზღუდული.  
8. იზღუდება თუ არა სათხილამურო კურორტებზე (ბაკურიანი, გუდაური, გოდერძი და მესტია) მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილება? დიახ, იზღუდება.  
9. დიდ ქალაქებში დაწესებული შეზღუდვები ვრცელდება თუ არა სოფლებზე და მომიჯნავე დაბა/დასახლებებზე? მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს გადაადგილების შეზღუდვა 21:00 სთ-დან 05:00 სთ-მდე, ასევე, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა, კვების ობიექტების, ფიტნესკლუბების და აუზების საქმიანობის შეზღუდვა. დიდ ქალაქებში დაწესებული სხვა შეზღუდვები მოქმედებს მხოლოდ აღნიშნული

ქალაქების მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში. დიდ ქალაქებში დაწესებული სხვა შეზღუდვები მოქმედებს მხოლოდ აღნიშნული ქალაქების საზღვრებში.  
10. შესაძლებელია თუ არა 28 ნოემბრამდე მიღებული საშეის საფუძველზე გადაადგილება? დიახ, 9 ნოემბრიდან გაცემული ნებართვები კვლავ ძალაშია.  
11. აკრძალულია თუ არა 70 წელს გადაცილებულ პირთა გადაადგილება? აკრძალული არ არის. რეკომენდებულია 70 წელს გადაცილებულმა პირებმა თავი შეიკავონ გადაადგილებისგან.  
**ეკონომიკური საქმიანობა**  
12. რა რეგულაციებია რესტორნებსა და კვების ობიექტებთან დაკავშირებით? რესტორნები და კვების ობიექტები ქვეყნის მასშტაბით მთლიანად გადადიან მიტანის/გატანის სერვისზე. დასაშვებია: პროდუქტის გატანა - ე.წ. takeaway მიტანის სერვისი - ე.წ. „დელივერი“ ავტომობილით გატანა - ე.წ. „დრაივი“  
13. რომელ სავაჭრო ობიექტებს ეხება შეზღუდვა? ყველა სავაჭრო ობიექტი ფუნქციონირებს მხოლოდ დისტანციურად - ადგილზე მიტანის/ადგილიდან გატანის სერვისით, მომხმარებლის სარეალიზაციო სივრცეში დაშვების/წვდომის გარეშე. ეს შეზღუდვა არ ეხება:

სურსათის / ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სათესლე და სარგავი მასალების საცალო რეალიზაციას; ელექტროკომუნიკაციის, ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, წყლის, ბენზინის, დიზე-

ლის, თხევადი აირის მიწოდებას; სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციას; პრესის ფიზურებს.  
14. იზღუდება თუ არა სავაჭრო ობიექტების მუშაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით? არა. იზღუდება მხოლოდ ქ. თბილისის, ქ. თელავის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ქ. გორის, რუსთავის, ქ. გორის,



# თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განიხილეს 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი

24 ნოემბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის, ნინო ჯანელიძის ხელმძღვანელობით საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა.



სხდომაზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი, პროგრამული ბიუჯეტის დანართი და პრიორიტეტების დოკუმენტი ის პროექტი განიხილეს. საკრებულოს

გადაწყვეტილებით წარმოდგენილი პროექტი დაუბრუნდა მერიას, საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნებით.

ასევე, დეპუტატებმა იმსჯელეს და ცვლილებები შეიტანეს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის N27 დადგენილებაში.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

აღნიშნული საკითხების განხილვა რიგგარეშე სხდომამდე, ბიუროსა და პროფილური კომისიების სხდომაზე განხორციელდა.

# 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია

2 დეკემბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის, ნინო ჯანელიძის ხელმძღვანელობით საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც დღის წესრიგით წარმოდგენილი თერთმეტი საკითხი განიხილეს.

საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილია მუნიციპალიტეტის 2021 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი — ადგილობრივი ბიუჯეტი, პროგრამული ბიუჯეტის დანართი და პრიორიტეტების დოკუმენტი.

ასევე მხარდაჭერილია მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის N27 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები და მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ N46 40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

სხდომაზე, გარდა აღნიშნული საკითხებისა, დეპუტატების მიერ მხარდაჭერა მიიღო 8 სოციალურ პროგრამაში განსახორციელებელმა ცვლილებებმა.

წარმოდგენილი საკითხები მორიგ სხდომამდე ბიუროსა და პროფილური კომისიების სხდომებზე იყო განხილული.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.



## ნინო ჯანელიძე: „საკრებულომ და მერიამ ეფექტურად იმუშავეს მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირებისთვის“

2 დეკემბერს, საკრებულოს სხდომის დასრულების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ, ნინო ჯანელიძემ, ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებით საკრებულომ და მერიამ მნიშვნელოვანი სამუშაო გასწიეს:

„უპირველესად, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორივე რგოლმა — საკრებულომ და მერიამ — შესაშური კოლეგიალობით, საქმიანად და ეფექტურად იმუშავა მომავალი წლის ბიუჯეტის საბოლოო ფორმირებისთვის, რითიც თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა ჩამოყალიბდა.

მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ მერიამ, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად გაითვალისწინა ჩვენი შენიშვნები, ოპერატიულად წარმოგვიდგინა 2021 წლის ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტი, რომელიც დავამტკიცეთ საკრებულოს მორიგ სხდომაზე.“



ელსწრებოდნენ.

2021 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, თემურ ქოჩიაშვილმა წარადგინა. რეგულაციებით დადგენილი წესით, გაკეთდა მოხსენებები და შენიშვნები კომისიებისა და ფრაქციების ხელმძღვანელებისა და საკრებულოს წევრების მიერ. საკრებულოს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საკრებულომ გადაწყვიტა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი უკან დაბრუნებოდა.

გაგაცნობთ ამ შენიშვნებს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შენიშვნები:

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრების აზრით, 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში დადგენილ შემოსავლებსა და ხარჯვით ნაწილს შორის არსებული განაწილება არ შეესაბამება როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე მთლიანად ქვეყანაში მოსახლეობის მხარდ მოთხოვნებს. ამის მიზეზი ვერ იქნება შემოსავლების კლება გასული წლის შესაბამისი მაჩვენებლებთან შედარებით. კერძოდ, 2021 წელში გადასახადების მოცულობა (აღგ) 96.0 ათასი ლარით ნაკლებია 2020 წლის მაჩვენებელთან მიმართებაში, თუმცა განათლების, კულტურის, ჯანდაცვის სფეროებში საპროექტო მაჩვენებლები 568.0 ათასი ლარითაა შემცირებული. დადგენილი შემოსავლების დიდი ნაწილი (740.0 ათასი ლარი) მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებისა და ახალი პროექტების დასაფინანსებლად, რომლის საჭიროება ამ მოცულობით არ ჩანს.

კომისიის შეფასებით, არასწორი იყო სარეზერვო ფონდის 100.0 ათას ლარამდე გაზრდა მაშინ, როცა 2020 წელში დაგეგმილი 50.0 ათასი ლარიდან მხოლოდ 27.0 ათასი ლარია ათვისებული.

პროექტში დაზუსტებას მოითხოვს სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურეთა უკვე დაწყებული ხელფასების მატებისათვის მომდევნო წელში საჭირო 520.0 ათასი ლარის წყარო. გადასახდელი განათლების, კულტურის, ჯანდაცვის სფეროებში, საგასავლო ნაწილში არსებული შემცირების ფონზე, კომუნალური მეურნეობის განვითარების მუხლში თანხის წარმოდგენილი მოცულობა.

მუნიციპალიტეტის საკრებუ-

ლოს წარმომადგენლობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შენიშვნები:

კომისიის წევრები აღნიშნავენ, რომ 2020 წლის ბიუჯეტში სოციალური პროგრამების დაფინანსება დამტკიცებული იყო — 980000 ლარით, რასაც წლის ბოლომდე დაემატა 100000 ლარი და დღეისათვის პროგრამები სულ დაფინანსებულია 1080000 ლარით. წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, 2021 წელს სოციალური პროგრამები ფინანსდება 820000 ლარით, რაც 160000 ლარით ნაკლებია 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ დაფინანსებაზე და 260000 ლარით ნაკლები — დღემდე განვირცხ ხარჯებზე.

წარმომადგენლობისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში მიიჩნევა, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციისა და სოციალური პროგრამების მნიშვნელობის გათვალისწინებით, პროგრამების დაფინანსება, მინიმუმ, უნდა გაუტოლდეს 2020 წლის მაჩვენებელს და გამოინახოს დამატებითი რესურსი მისი გაზრდისთვის.

2 დეკემბრის მორიგ სხდომაზე საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს მერიის მიერ შენიშვნების გათვალისწინებით წარმოდგენილ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტს.

**X X X**

იმედი გვაქვს, რომ ახალ ბიუჯეტში, მომავალ წელს, არც თუ იშვიათად შევა ცვლილებები მისი ზრდის თვალსაზრისით, ისე როგორც ეს მიმდინარე წელს ხდებოდა, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა კი გამჭვირვალედ და თვითმმართველობის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ განხორციელდება.

# თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცებულია!

## ბანმარტუბითი ბარათი

### თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და საქართველოს „საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნებიდან გამომდინარე.

2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული 2020 წელს COVID-19 პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე შემოსავლების შემცირების ტენდენცია საშუალოვადიან პერიოდთან მიმართებაში. არსებული პროგნოზების გათვალისწინებით, 2021 წელს, COVID-19 პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე, საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო გეგმა შეადგენს 10089.1 ათას ლარს, რაც 96,7 ათასი ლარით ნაკლებია 2020 წლის პირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით (10185.8 ათასი ლარი). აღსანიშნავია, რომ მომდევნო პერიოდში, ეკონომიკაში, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდეს და რა თქმა უნდა ის ვერ იქნება პანდემიამდე არსებული მდგომარეობის იდენტური. საბიუჯეტო შემოსავლების შესაბამისად დაკორექტირდება როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილი.

მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 11200.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები 10089.1 ათასი ლარით, გრანტები—160.0 ათასი ლარის ოდენობით, არასაგადასახადო შემოსავლები 650.9 ათასი ლარით და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 300.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო (საგეგმო) მაჩვენებელი 2021 წლისათვის (10200.0 ათასი ლარი) 1213.2 ათასი ლარით ნაკლებია 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე და 990.0 ათასი ლარით აღემატება 2019 წლის შესაბამის საბიუჯეტო მაჩვენებელს.

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის საშემოსავლო ნაწილის მაჩვენებლის, მიხედვით რეალური შემოსავალი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით—269.2 ლარს მიაღწევს. ხოლო, რეალური შემოსავალი ერთ სულზე საშუალოდ თვეში—22,4 ლარი იქნება.

მთლიან შემოსავლებში (11200.0 ათასი ლარი) უშუალოდ, საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 90,0%-ს, ანუ 10089.1 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის: ქონების გადასახადი 1850.0 ათასი ლარი (აქედან: საქართველოს საწარმოთა ქონება—1490.0 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონება—10.0 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე—60.0 ათასი ლარი და

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი—290.0 ათასი ლარი). დამატებული ღირებულების გადასახადი—8239.1 ათასი ლარი;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების საპროგნოზო მოცულობაში (11200.0 ათასი ლარი) ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების (ტრანსფერების) ხვედრითი წილი 1,4%-ს, ანუ 160.0 ათას ლარს შეადგენს (მიზნობრივი ტრანსფერი—160.0 ათას ლარი), ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული.

მომავალი საბიუჯეტო წლის

რეზერვებიდან წინა საბიუჯეტო წლებში ფაქტიური შემოსავლები არ დაფიქსირებულა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის საგადასახადო ნაწილის საპროგნოზო პარამეტრები განსაზღვრულია საშემოსავლო ნაწილის შესაბამისად—11200.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც 1213.2 ათასი ლარით ნაკლებია 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე და 990.0 ათასი ლარით აღემატება 2019 წლის პირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით.

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2021 წელში განსაზღვრულია—3435.0 ათასი ლარით.



პროექტში შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა ასევე სხვა შემოსავლები, რომელიც დაგეგმილია—650.9 ათასი ლარით. მათ შორის: პროცენტები—80.0 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის—260.0 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი—15.0 ათასი ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის—130.0 ათასი ლარი, შემოსავალი მომსახურების განვითარებისათვის—10.9 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები—150.0 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები—5.0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება დაგეგმილია—300.0 ათასი ლარით. აქედან ძირითადი აქტივები—100.0 ათასი ლარი და არანარმოებული აქტივები—200.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო (საგეგმო) მაჩვენებლებში საერთოდ არ არის შეტანილი: საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის და სხვა. რადგან, ამ სახის მოსაკ-

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო—605.0 ათასი ლარი;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია—2539.0 ათასი ლარი;
- სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახური—110.0 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი—50.0 ათასი ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 1.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა—100.0 ათასი ლარით.
- კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი—30.0 ათასი ლარი.
- 2. ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდება—1284.0 ათასი ლარი, მათ შორის:
  - გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი დაგეგმილია—250.0 ათასი ლარით. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება.

- წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია დაფინანსდება—220.0 ათასი ლარით. მათ შორის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებაზე განსაზღვრულია—100.0 ათასი ლარი.
- გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯი დაფინანსდება—300.0 ათასი ლარით;
- კომუნალური მეურნეობის განვითარების ხარჯები დაფინანსდება—170.0 ათასი ლარით.
- სოფლის პროგრამები დაფინანსდება 10.0 ათასი ლარით.
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდება—334.0 ათასი ლარით.
- 3. დასუფთავება და კეთილმოწყობა (ა(ა)იპ „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“) 2021 წლის ასიგნება—1500.0 ათასი ლარით განისაზღვრება;
- 4. განათლების სფეროს ხარჯების დაფინანსება განსაზღვრულია—2466.0 ათასი ლარით. მ/შორის:
  - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა (ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“-ს) დაფინანსება განსაზღვრულია—106.0 ათასი ლარით
  - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება განისაზღვრა—2150.0 ათასი ლარით
  - სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსდება—10.0 ათასი ლარით.
  - საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსდება—10.0 ათასი ლარით.

- სკოლისგარეშე განათლება (ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი“-ს) დაფინანსდება—190.0 ათასი ლარით.
- 5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი დაფინანსდება—1415.0 ათასი ლარით.
  - სპორტული ღონისძიებები დაფინანსდება—30.0 ათასი ლარით.
  - სპორტული სკოლა (ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი“) დაფინანსდება—420.0 ათასი ლარით.
  - სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (ა(ა)იპ „თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი“) დაფინანსდება—157.0 ათასი ლარით.
  - სახელოვნებო სკოლები—205.0 ათასი ლარით.
  - ბიბლიოთეკები დაფინანსდება—128.0 ათასი ლარით.
  - კულტურის სახლების დაფინანსება განსაზღვრულია—295.0 ათასი ლარით.
  - მუზეუმების დაფინანსება განსაზღვრულია—65.0 ათასი ლარით.
  - ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება—40.0 ათასი ლარი;
  - რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა—20.0 ათასი ლარით განისაზღვრა.
  - საგანმრცემლო საქმიანობის დაფინანსება—55.0 ათასი ლარით.
- 6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განსაზღვრულია—1100.0 ათასი ლარით.
  - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“) დაფინანსდება—110.0 ათასი ლარით.
  - ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია (სოფლის ამბულატორიები) დაფინანსდება—10.0 ათასი ლარით.
  - სოციალური დაცვა დაფინანსდება—980.0 ათასი ლარით, რომლის მოიცავს 16 სოციალურ პროგრამას. (1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება. 2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება. 3. ქალაქ თერჯოლაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებიც სარგებლობდა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფილი იქნებიან შე- 10 საბამისი თანხებით.

# თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცებულია!

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის N27 დადგენილებით 12413.2 ათასი ლარის ოდენობით.

2020 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 2232.1 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 1895.9 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 336.2 ათას ლარს.

ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონება—10.0 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე—60.0 ათასი ლარი და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 290.0 ათასი ლარი). დამატებული ღირებულების გადასახადი— 7115.4 ათასი ლარი;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების საპროგნოზო მოცულობაში (20263.1 ათასი ლარი) ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების (ტრანსფერების) ხვედრითი წილი 40,4%-ს, ანუ 8188.6 ათას ლარს შეადგენს (მიზნობრივი ტრანსფერი—469.6 ათას ლა-

ათას ლარს (გეგმა—8965.4 ათასი ლარი), რაც 86,0%-ია, გრანტების სახით ჩარიცხულია 5448.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 66,5 %-ია, არასაგადასახადო შემოსავლები ჩარიცხულია 659.3 ათასი ლარის ოდენობით (გეგმა—777.0 ათასი ლარი), რაც 84,8 %-ია, არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაციიდან შემოსავლების) სახით შემოსულია 181.4 ათასი ლარი, (გეგმა—100.0 ათასი ლარი) და ვალეზა შესრულდა 181,4 %-ით. წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დაფიქსირებულია 2232.1 ათასი ლარი.

შემოსულობები გადასახადების სახეების მიხედვით

ლია 14174,3 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის გადასახდელების საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა დაფინანსდება—3051,2 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 2274.3 ათასი ლარით.

თავდაცვის ხარჯები დაფინანსდება—120.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 95.3 ათასი ლარით.

ეკონომიკური საქმიანობა დაფინანსდება—4703.2 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 3563.9 ათასი ლარით. გარემოსდაცვა (თერჯოლის

ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდება—116.6 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 80.1 ათასი ლარით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდება—116.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 79.5 ათასი ლარით. ამბულატორიები დაფინანსდება—0.6 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 0.6 ათასი ლარით.

დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსდება—1457.0 ათასი ლარით: ხოლო უკვე დაფინანსებულია 1027.6 ათასი ლარით.

მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსდება—475.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია



2020 წლის 10 თვეში ბიუჯეტის ცვლილება 7-ჯერ განხორციელდა და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 20263.1 ათასი ლარით.

ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიის გავრცელების გამო ქვეყანაში შემცირებული იქნა დამატებული ღირებულების გადასახადი, ხოლო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადი ასევე შემცირებული იქნა 1220,4 ათასი ლარით, შესაბამისად ასევე შემცირებული იქნა ხარჯვითი ნაწილიც.

მუნიციპალიტეტის შემოსულობების 2020 წლის საგეგმო მოცულობა განსაზღვრულია 20263.1 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები 8965.4 ათასი ლარით, გრანტები—8188.6 ათასი ლარის ოდენობით, არასაგადასახადო შემოსავლები 777.0 ათასი ლარით და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 100.0 ათასი ლარის ოდენობით.

მთლიან შემოსავლებში (20263.1 ათასი ლარი) უშუალოდ, საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 44,2%-ს, ანუ 8965.4 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის: ქონების გადასახადი 1850.0 ათასი ლარი (აქედან: საქართველოს საწარმოთა ქონება—1490.0

რი), ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი კი განსაზღვრულია 7719.0 ათასი ლარით.

მიმდინარე საბიუჯეტო წლის გეგმაში შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა ასევე სხვა შემოსავლები, რომელიც დაგეგმილია—777.0 ათასი ლარით. მათ შორის: პროცენტები—82.0 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის—260.0 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი—15.0 ათასი ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის—80.0 ათასი ლარი, შემოსავალი მომსახურების განვითარებისათვის—10.0 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები—250.0 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 80.0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება დაგეგმილია—100.0 ათასი ლარით. აქედან ძირითადი აქტივები—80.0 ათასი ლარი და არანარმოებული აქტივები - 20.0 ათასი ლარი.

2020 წლის 10 თვეში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სულ შემოსულობები ჩარიცხულია 16 223.2 ათასი ლარის ოდენობით, რაც წლიური გეგმის (20 263.1 ათასი ლარი) 80,0 %-ია. მათ შორის საგადასახადო შემოსავლები შეადგენს 7702.2

ასეთებია: საწარმოთა ქონება 10 თვეში ჩარიცხულია 1584.4 ათასი ლარი (წლიური გეგმა—1490.0 ათასი ლარი), მინის გადასახადი—44.7 ათასი ლარი (გეგმა—350.0 ათასი ლარი), დამატებითი ღირებულების გადასახადი—6050.1 ათასი ლარი (გეგმა—7115.4 ათასი ლარი), ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლები—223.3 ათასი ლარი. (გეგმა—250.0 ათასი ლარი), ჯარიმები, სანქციები და საურავები—145.8 ათასი ლარი (გეგმა—250.0 ათასი ლარი) შერეული შემოსავლები—60.7 ათასი ლარი (გეგმა—80.0 ათასი ლარი) ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი—72.2 ათასი ლარი (გეგმა—80.0 ათასი ლარი).

იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი წარმატებით შესრულდეს, დარჩენილ პერიოდში ბიუჯეტში უნდა ჩარიცხოს 4039.9 ათასი ლარი, რაც სავსებით შესაძლებელია არსებული რეზერვების გათვალისწინებით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2020 წლის საგადასახადო ნაწილის გეგმა განსაზღვრულია სამეომოსავლო ნაწილის შესაბამისად და დაფინანსდება—20263.1 ათასი ლარით. ხოლო პირველი ნოემბრის მდგომარეობით უკვე დაფინანსებულია

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური) დაფინანსდება—2240.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 1881.7 ათასი ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობა დაფინანსდება—3850.4 ათასი ლარით: ხოლო უკვე დაფინანსებულია 1791.0 ათასი ლარით. კომუნალური მეურნეობის განვითარება—1342.6 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 665.3 ათასი ლარით. წყლის სისხტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაფინანსდება— 1039.5 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 212.4 ათასი ლარით. გარე განათება დაფინანსდება—275.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 178.8 ათასი ლარით. სხვა არაკლასიფიცირებული სამუშაოები დაფინანსდება 1193.3 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 734.5 ათასი ლარით. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსდება 718.3 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 540.3 ათასი ლარით. საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდება 475.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 194.2 ათასი ლარით.

327.2 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიების ხარჯი—30.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 13.4 ათასი ლარით. სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი დაფინანსდება—445.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 313.8 ათასი ლარით.

მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსდება—842.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 610.8 ათასი ლარით. მ/შორის: სახელოვნებო სკოლები (სამუსიკო და სამხატვრო) დაფინანსდება—210.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 152.5 ათასი ლარით. ბიბლიოთეკები დაფინანსდება—120.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 89.1 ათასი ლარით. კულტურის სახლი დაფინანსდება—284.0 ათასი ლარით, მუზეუმები დაფინანსდება—65.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 46.4 ათასი ლარით. თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრი დაფინანსდება 163.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 116.8 ათასი ლარით. საგამომცემლო საქმიანობის ხარჯი დაფინანსდება - 55.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 41.13 ათასი ლარით.







# თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცებულია!

## ბანმარტაპიტი ბარათი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შესახებ

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარება. 5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარება. 6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი უნარშეზღუდული ბავშვების დღის ცენტრების დაფინანსება. 7. თერჯოლის ინვალიდთა ასოციაციის დახმარება (მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებისათვის სხვადასხვა ღონისძიებები). 8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარება. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტი ანხორციელებს ახალდაბადებული ბავშვების დახმარების პროგრამას. 9. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა. აღნიშნული ითვალისწინებს სტიქიური და სხვა მოვლენების შედეგად სახლდაზიანებული ოჯახების დახმარებას. 10. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარება. 11. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე საკვები პროდუქტებით დახმარება. 12. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება და სარიტუალო მომსახურება. აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას. თითოეულ გარდაცვლილ ომის ვეტერანზე 250 ლარის ოდენობით. 13. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების ერთჯერადი თანადაფინანსება. აღნიშნული გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების (გარდა პლასტიკური ოპერაციებისა) ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება. 14. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით და ფენილკეტონიით დაავადებულ ბავშვთა ოჯახების ფინანსური დახმარება. 15. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარება. 16. თერჯოლის მუნიციპალიტეტში არაფინანსური აქტივების შრდა შეადგენს—984.0 ათას ლარს, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება—2113.0 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება—1429.0 ათასი ლარი;
- პროცენტი—40.0 ათასი ლარი;
- სუბსიდიები—5421.0 ათასი ლარი;
- გრანტი—10.0 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა—892.0 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯი—251.0 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივები—984.0 ათასი ლარი;
- ვალდებულებები—60.0 ათასი ლარი;

2021 წლის ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს—984.0 ათას ლარს, მათ შორის:

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა შენახვის ხარჯი და რგვ პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება—250.0 ათასი ლარით.
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია და რგვ პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება და 100.0 ათასი ლარით.
- გარე განათების ქსელზე მიერთება დაფინანსდება—10.0 ათასი ლარით.
- კომუნალური მეურნეობის განვითარება დაფინანსდება—130.0 ათასი ლარით.
- სოფლის პროგრამები დაფინანსდება 10.0 ათასი ლარით.
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდება—334.0 ათასი ლარით.
- საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობის თანადაფინანსება დაფინანსდება 10.0 ათასი ლარით
- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის თანადაფინანსება დაფინანსდება—10.0 ათასი ლარით.
- ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაციის (სოფლის ამპულატორიები) თანადაფინანსება დაფინანსდება—10.0 ათასი ლარით.
- მუნიციპალიტეტის მერია დაფინანსდება—120.0 ათასი ლარით (ვიდეოკამერების შეძენა 50.0 ათასი ლარი. შენობის რემონტი 35.0 ათასი ლარი; კომპიუტერული ტექნიკის შეძენა—10.0 ათასი ლარი; პრინტერები 10.0 ათასი ლარი და სხვადასხვა ტექნიკა 15.0 ათასი ლარი).

2021 წლის ბიუჯეტში „კაპიტალური ბიუჯეტი“ გათვალისწინებული არ არის, რადგან დაგეგმილ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ზრდაზე განსაზღვრული თანხა დაიხარჯება მცირე სარემონტო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე და მსხვილი ინფრასტრუქტურული ობიექტების თანადაფინანსებასა და ზედამხედველობაზე.

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა დაფინანსდება—55.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსება არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში დაფინანსდება—1347.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე



სეხულია 48.5 ათასი ლარით. ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსდება—30.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 28.5 ათასი ლარით. რელიგიური საქმიანობა დაფინანსდება—55.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 20.0 ათასი ლარით. განათლების ხარჯი დაფინანსდება—3613.1 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 2113.2 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის მუ-

დაფინანსებულია 728.4 ათასი ლარით. მოსწავლე-ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსდება—204.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 159.8 ათასი ლარით. ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დაფინანსდება 1142.9 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 568.6 ათასი ლარით.



ნიციპალური ცენტრი დაფინანსდება—90.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 73.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები დაფინანსდება—2170.0 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 1635.1 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია დაფინანსდება 6.1 ათასი ლარით.

ნანსდება—1111.6 ათასი ლარით. ხოლო უკვე დაფინანსებულია 891.2 ათასი ლარით. 2020 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი წლიური გეგმით გათვალისწინებულია -50.0 ათასი ლარი და გახარჯულია 23.7 ათასი ლარი. კრედიტორული დავალიანება არის 0,0 ათასი ლარი, ხოლო დებიტორული დავალიანება -10.0 ათასი ლარი. ასევე გრძელვადიანი ვალდებულება



არის - 404.9 ათასი ლარი. თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის N1213, N1394, N2712, N2367, N986 და N593 განკარგულებებით, სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ მიღებული დაფინანსებიდან 2020 წელს დაიხარჯება 1144.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ 2020 წელში გამოყოფილი აქვს დაფინანსება—4606.9 ათასი ლარი. მათ შორის: სოფელ ქვედა სიმონეთში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 444.2 ათასი ლარით. სოფ. ნახშირღელეში ნიკოლაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 150.1 ათასი ლარით. სოფ. ვარდიგორა-ჯვრისათვის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 596.1 ათასი ლარით. სოფელ ალისუბანი-სკანდის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 300.0 ათასი ლარით.

ქ.თერჯოლაში გოფანძის ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 300.0 ათასი ლარით; სოფ. რუფოთი-ჩხარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 450.0 ათასი ლარით. სოფ. ნახშირღელეში ხუჯაძეების-ჩუბინიძეების უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 320.0 ათასი ლარით. ქალაქ თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობა დაფინანსდება 982.8 ათასი ლარი. სოფელ ზედა სიმონეთის სასამელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია დაფინანსდება 820.0 ათასი ლარი. სიქთარვა-ჩხარი ენრის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 95,0 ათასი ლარით. სოფ. თუზში ცენტრალური გზიდან ნმ. სამების ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 95,0 ათასი ლარით. ქ.თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას მე-3 ჩიხში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 73,8 ათასი ლარით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის 2020 წელს გამოყოფილია 724.0 ათასი ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე მიმდინარე წელს გამოყოფილია 690.0 ათასი ლარი.

# „მცირე მენარმეთა ხელშეწყობისათვის“

პროექტი, რომელიც ამ სლოგანით ხორციელდება თერჯოლის მუნიციპალიტეტში უაღრესად საჭირო და კეთილშობილურ მიზანს ემსახურება. „პროექტის მიზანი ძირითადად განაპირობა პროექტის „იპოვე საკუთარი თავი“ ფარგლებში ჩატარებულმა მცირე სოციოლოგიური კვლევის შედეგებმა. გამოიკვეთა, რომ სოფლად მცხოვრები ქალების დიდი ნაწილი სიღარიბეში, ან სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ოჯახის შემოსავალი არასტაბილურია. გამოკითხულთა 96% თვლის რომ სწორედ ეს ხდება გარკვეულწილად კონფლიქტების და ძალადობის საფუძველი. სოფლის მეურნეობაში ჩართულია გამოკითხულთა 43%, მაგრამ არსებული მდგომარეობით ეს შრომა არარენტაბელურია და არა თუ დოვლათს შქმის, არამედ ოჯახს წლის ბოლომდეც არ ყოფნის სარჩო-საბაბებელი. ქალთა 67% დაუსაქმებელია და ეს უდიდესი შრომისუნარიანი ადამიანების რესურსი გამოუყე-

ნებელია. გამოკითხულთა 72%-ს არ აქვს პროფესია, 28%-ს აქვს მიღებული სხვადასხვა დონის განათლება, მაგრამ პრაქტიკულად არასოდეს უმუშავებია, ამასთან უნდა აღინიშნოს საკუთრებაში (მინის საკუთრება, სასოფლო-სამეურნეო რესურსებზე წვდომა და სხვა, ისინი მამაკაცებს ჩამორჩებიან) შრომობენ, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეტანილი მათი წვლილი შეუმჩნეველი და დაუფასებელი რჩება. რაც მათ აღიარებას და სოციალიზაციას ხელს უშლის. სოფლად მცხოვრები ქალების ცნობიერების ამაღლება და მათთვის შესაძლებლობების ფარგლებში მინოდებული განათლება, მოკლევადიანი კურსები, უკეთეს შემთხვევაში ზრდასრულთა პროგრამებით მათი გადამზადება, საუკეთესო გზაა სიღარიბის დაძლევის და ოჯახური ძალადობის პრევენციისათვის, სოციალურად და ეკონომიკურად აქტიური ქალი მეტ სიკეთეს მოუტანს როგორც ოჯახს, ისევე

საზოგადოებას, სახელმწიფოს“ — განაცხადა „თერჯოლასთან“ საუბარში პროექტის ავტორმა და ხელმძღვანელმა—თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა ქალბატონ რუსუდან კოვზირიძემ. პროექტს ახორციელებს ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვის და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირი—„ბავშვები საქართველოს მომავალი“. პროექტი დაფინანსებულია კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმის“ მიერ. „თერჯოლას“ მკითხველმა უკვე იცის, რომ პროექტის „საქმიანობით“ დასაწყისად და სიღარიბეს“ ფარგლებში დაგეგმილი პირველი აქტივობა—სასწავლო-პრაქტიკული მოკლე კურსი „თექისა და ხალიჩის შესწავლა“ წარმატებით დასრულდა და შეიძლება ქალბატონმა გარკვეული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მიიღოს და მათ შეუძლიათ ეს პროფესია დაინტერესების შემთხვევაში ცხოვრ-

ებაში გამოიყენონ. ამავერად უკვე პროექტის მეორე აქტივობაც—სასწავლო-პრაქტიკული მოკლეკურსი „კულინარიისა და მაგიდის სერვირების შესწავლა“ დასრულებულია და მისი შემდეგებული პრეზენტაციაც ამ რამდენიმე დღის წინ გაიმართა. ქალბატონებს კულინარიისა და სუფრის სერვირების მოკლევადიანი კურსის გაკვეთილებს უტარებდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის კულინარიის შემსწავლელი კლუბის პედაგოგი ლელა ამირანაშვილი. თითოეული შეხვედრა, გაკვეთილი იყო საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული. რაც მთავარია, როგორც პირველი აქტივობის, ასევე მეორე შემთხვევაში კონკრეტულად მიღებული ცოდნა ქალბატონებს აძლევს საოჯახო, მცირე და გაერთიანებული ბიზნესის წამოწყების საშუალებას. ინფორმირებულობა კი საჩვენებელი გზაა, სწორი ორიენტაციისათვის. კულინარია და სუფრის სერვირე-

ბის კურსის შემდეგებული აქტივობა ღია სივრცეში, პანდემიის გათვალისწინებით დისტანციისა და უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით ჩატარდა. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი მრავალფეროვანი მწიფის ასორტების დაგემოვნება წილად ხვდა როგორც პროექტის მონაწილეებს, ასევე მოხალისე სტუმრებს. ეს ყველაფერი მეტად ხალისიან, გულწრფელ ვითარებაში გაიმართა. ქალბატონების მიერ მომზადებულმა სხვადასხვა სახეობის ნაწარმმა მოწონება დაიმსახურა. პროექტში ჩართულმა ქალბატონებმა მადლობა გადაუხადეს პროექტის ავტორს ქალბატონ რუსუდან კოვზირიძეს და კურსის ხელმძღვანელს ლელა ამირანაშვილს. ლელა ამირანაშვილს მადლობა გადაუხადა და შემდგომი წარმატება უსურვა აგრეთვე პროექტის ავტორმა რუსუდან კოვზირიძემ.

## მერი გოგიაშვილი

მასწავლებელი ის ადამიანია, რომელიც თავის საქმიანობისთვის არ ელის კვარცხლბეკს... იგი უხმაუროდ, მთელი სულითა და გულით ემსახურება მომსახურების თაობის განათლებას, მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო აღზრდილების გულიანი სალაპი, ღიმილიანი მოკითხვა და მათი წარმატებებია. მასწავლებლობის ეტალონად შეიძლება მივიჩნიოთ ქალბატონი მარია (მერი) გოგიაშვილი-ლანჩავა, რომელიც მეუღლე ელგუჯა ლანჩავასთან ერთად წლების განმავლობაში ემსახურებოდა ქოგნარის სკოლას და აღსაზრდელებს. იგი მრავალშვილიანი ოჯახის უფროსი შვილი იყო, რომელმაც საშუალო განათლება ქუთაისის ქალთა მე-12 სკოლაში მიიღო, შემდგომ კი სწავლა ქუთაისის ალ. ნულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე განაგრძო. ქალბატონი მერის პედაგოგიური გზა 1960 წლიდან ასპინძის რაიონის სოფელ ორგორაში დაიწყო ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლობით. 1962 წლიდან იგი შეუერთდა ქოგნარის საჯარო სკოლის პედაგოგულ-მეთოდურ განყოფილებას. აქ იმუშავა მან საპენსიო ასაკამდე. ბევრი ღირსეული თაობა სწორედ მის ხელშია აღზრდილი. იგი იმ მასწავლებელთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომლებიც მუდამ ახლის ძიებაში არიან და ცდილობენ თანამედროვე ტენდენციებით გაიმდიდრონ ცოდნა და სრულყოფილი პროფესიონალიზმი. ქოგნარის საშუალო სკოლის პედაგოგიური დღემდე ძირითადად დაკომპლექტებულია მის მიერ აღზრდილი მოსწავლეებით, რომელთაგან ბევრმა მისი სპეციალობაც აირჩია. სიცოცხლის ბოლოდე საოცარი ოპტიმიზმითა და იმედით გამორჩეული ქალბატონი არ ნებდებოდა სიბერეს, ცდილობდა ყველასათვის სასარგებლო ყოფილიყო. საოცარი დამოკიდებულება ჰქონდა რძალთან, სიძესთან და შვილიშვილებთან. მან მეუღლესთან ერთად ორივე შვილი თამარი და დავითი პედაგოგებად აღზარდა. პედაგოგები, ყოფილი მოსწავლეები კეთილად მოიგონებენ უაღრესად ზრდილ, დინჯ, განათლებულ, კეთილშობილ ქალბატონს, რომელიც მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული და ყოველთვის მზად ჰქონდა სამახსოვრო ექსპრომტები კოლეგებისათვის. მერი გოგიაშვილი ლანჩავების დიდი პედაგოგიური ოჯახის საპატიო წევრი იყო. მეუღლე ელგუჯა ლანჩავა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწეა, ღირსების ორდენის კავალერი, რომელიც ძველი გვარდიიდან ჯერ კიდევ უმაგრებს მხარს სოფელსა და რაიონს. ამ დიდი ოჯახიდან ორივე ძმა, ორივე რძალი და მათი ოთხივე შვილი მასწავლებლობის მძიმე ტვირთს ეწეოდნენ ქოგნარის საშუალო სკოლაში. სამწუხაროდ, გიორგი (ჟორა) ლანჩავა სრულიად ახალგაზრდა გამოაკლდა მათ რიგებს, დააკლდა სკოლას, ოჯახსა და სოფელს, მისი მეუღლე მერი გაბრიჭიძე, რამდენიმე წელია რაც ჩვენს შორის აღარაა. დიდა საყვარელი ბიჭოლას და ბიძიას წვლილი მაზლიშვილების ნათელა და მადონა ლანჩავების მასწავლებლებად ჩამოყალიბებაში. ქალბატონი მერი, სულ რამდენიმე თვის წინ 84 წლის ასაკში გამოგვაკლდა. ოჯახი და პედაგოგიური კოლექტივი ყოველთვის თბილად მოიგონებენ მის მოღვაწეობას.



ქოგნარის საჯარო სკოლა

## ამირან ჩხიკვაძე

თერჯოლის საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება გამოაკლდა. ამირან ჩხიკვაძე ავადსახსენებელმა კოვიდინფექციამ შეინირა, ეს მერამდენე სიცოცხლე წაიღო ვერაგმა და უხილავმა კაცობრიობის მტერმა. ოჯახმა დაკარგა მზრუნველი მამა, სამეგობრომ ერთგული მეგობარი, რაიონმა ერთ-ერთი მსხვილი და ეკონომიკურად ძლიერი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი და კაცურიკაცობის ეტალონი. ბატონი ამირანი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რაიონის საგზაო სამსახურს. მან ეს სანარმო ჩაიბარა მწირი შესაძლებლობებით და აქცია ქვეყანაში ერთ-ერთ მძლავრ ორგანიზაციად, რომელმაც არაერთ ტენდერში მოიპოვა გამარჯვება. ახლა ეს სანარმო აღჭურვილია რამდენიმე ერთეული ძვირადღირებული და მაღალი წარმადობის ტექნიკით, რაც უდავოდ ამირანის და მისი ავტორიტეტის დამსახურებაა. ახლა საგზაო სამსახურის სახელწოდება შპს „ბორანია“ და მისი დამფუძნებელი და დირექტორი სიცოცხლის ბოლომდე ამირან ჩხიკვაძე იყო. მისი ხსოვნა მუდამ დარჩება ოჯახის, შპს „ბორანის“ კოლექტივის, რაიონის საზოგადოებრიობისა და მისი მეგობრების გულში.



შპს „ბორანის“ თანამშრომლები, სამეგობრო

## დათო არაბიძე

უდროოდ გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი, მეგობარი და გამავრცელებელი, ენრის საჯარო სკოლის დირექტორი დავით არაბიძე. რედაქცია ღრმად მწუხარებაში თანაუგრძნობს, როგორც ოჯახს, ასევე პედაგოგიკეც. რაიონის პედაგოგიურ კოპორტას დააკლდა გამოცდილი წევრი, ახალგაზრდობის დამრიგებელი, ოჯახს მზრუნველი მამა, სამეგობროს კარგი მეგობარი და მოქალაქე. მშვიდად იძინე ჩვენი მეგობარო! შენ კაცური კაცის სახელი დატოვე ამქვეყნად და ეს ცოტა როდია.



გაზეთი „თარგოლა“

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს და მწუხარებაში თანაუგრძნობს ქალბატონ თამარ ლარიბაშვილს მეუღლის **ამირან ჩხიკვაძის** გარდაცვალების გამო.

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი ინგა ქასრაშვილი და პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობენ ამავე სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეს შოთა აბესაძეს მამის **ავთანდილ (რანდი) აბესაძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნანი, შვილი ლია, სიძე კახა ბასილაძე, შვილიშვილები ქრისტინე, გიორგი ბასილაძეები და უახლოესი ნათესავები ოფიციალურად, რომ გარდაიცვალა **გურამ (გონდო) გიორგის ძე ალფაიძე** და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგები ღრმად მწუხარებას გამოთქვამენ ღვანლმოსილი პედაგოგის, ყოფილი კოლეგის **ნოდარ (სარგო) აბუსაძის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სოციალური სააგენტოს თერჯოლის რაიონული განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნარგიზ ურიადმყოფელს მეუღლის **დავით არაბიძის** და ბადრი ლილუაშვილის დედის **მერი კალანდაძე-ლილუაშვილის** გარდაცვალების გამო.

# ბარბარობა

17 დეკემბერს მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყარო აღნიშნავს ბარბარობას. იგი ქრისტიანული წმინდანის, ბარბარეს (ბარბალეს) სახელობის დღესასწაულია და ხალხური წეს-ჩვეულების თანახმად იმართებოდა 4-6 დეკემბერს (ძველი სტილით).



ფინიკიის ქ. ილიოპოლისის მდიდარი და წარჩინებული მოქალაქის, დიოსკორეს მშვენიერი ქალიშვილი ბარბარე იმპერატორ მაქსიმიანეს დროს (305 -311წ.) ცხოვრობდა და ენა-მა. დიოსკორემ გადაწყვიტა წმინდა ბარბარე ფარულად აღეზარდა. ამისთვის თავის მამულში კოშკი ააშენა, რომელშიც ბარბარეს გარდა მხოლოდ მისი წარმართი აღმზრდელი და მასწავლებლები ცხოვრობდნენ. ღვთის განგებით და ნებით, ალექსანდრიიდან ილიოპოლისში ვაჭრად გადაცემული მღვდელმთავარი ჩავიდა. მოხდა ისე, რომ მღვდელმთავარმა ბარბარე ქრისტიანულად მონათლა. დიოსკორე მდიდრულ აბანოს აშენებინებდა. ნაგებობის სამხრეთ კედელში დიოსკორეს ბრძანებით მუშები ორი სარკმლის დატანებას აპირებდნენ. ბარბარემ ისარგებლა მამის შინ არყოფნით და წმინდა სამების ნათელის ნიშნად, სიმბოლოდ მუშებს მესამე სარკმელიც გააკეთებინა. აბანოს შესასვლელში წმინდა ბარბარემ თავად გამოსახა ჯვარი. აბანოს ქვის საფეხურზე საკუთარი ნაფეხური აღბეჭდა, რომლიდანაც მოგვიანებით დიდი ძალის მქონე წყალმა ამოხეთქა. დაწყებული და დამუხრუჭებული ავაღმყოფები განსაკურნებლად ამ წყლთან მიდიოდნენ. როდესაც დიოსკორემ ქალიშვილის გაქრისტიანების შესახებ შეიტყო, განრისხდა. რისხვისგან გონებაკარგულს მახვილით უნდოდა მისთვის თავი მოეკვეთა. ბარბარე გაექცა მამას და მთას მიაშურა.

იმპერატორ მარტიანეს ბრძანებით წმ. ბარბარე სასტიკად აწამეს, რის შემდეგაც დიოსკორემ, საკუთარმა მამამ, მას თავი მოკვეთა. ამ დროს ციდან ელვის სახით ცეცხლი გადმოვიდა და დიოსკორე და მარტიანე დაწვა. წმინდა ბარბარეს წმინდა ნაწილებზე მრავალ ქვეყანაში აიგო ტაძარი, სადაც ხალხი წმინდანს ინფექციური დაავადებებისაგან, შავი ჭირისაგან განკურნებას, უეცარი სიკვდილისაგან, მეხისა და ცეცხლისაგან თავის დაცვას სთხოვდა. ასევე იყო ჩვენშიც. წმ. ბარბარე და ბარბარობის დღესასწაული ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთანა დაკავშირებული. წმინდა ბარბარეს საქრისტიანოში ბავშვთა მფარველად და შემწედ, ასევე საქონლის მკურნალადაც მიიჩნევენ.

ბარბარობა, დასავლურ ქართული ტრადიციით, დღესასწაულების დასაწყისი იყო. სვანეთში მას ბარბოლ / ბარბლაშ ეძახიან. სვანეთში დღესასწაულის წინა ღამეს ახალგაზრდები, ძველად კი მოხუცები, ეკლესიის ეზოში წინასწარ მომარაგებული შემთხვევით ანთებდნენ დიდ კოცონს და შუალამემდე ამ ცეცხლთან ატარებდნენ და ილხენდნენ. თითქმის მთელ საქართველოში ბარბარობას ოჯახში მეკვლე მოდიოდა. იგი ბედობის დღედ ითვლებოდა. ხალხი უქმობდა, ზოგან რამდენიმე დღესაც კი. ვინაიდან ეს დღე ბედობის დღე იყო, ერთმანეთთან სტუმრობას ურიდებოდა.

ღვთაება ბარბალეს ატრიბუტებს წარმოადგენდა წრიული საგნები და სხვადასხვა სოლარული ემბლემები (რკინისა თუ მწვანე რტოებით დამზადებული წრეები, კვირისტაველები, გვერგვი, კალპი, გვირგინი და სხვა). მორწმუნე ქართველებს იგი წარმოადგენილი ჰყავდათ როგორც ქალების, ფურების და საერთოდ ბუნების ნაყოფიერების დედური ძალების მფარველი ასტრალური ქალღვთაება. ბარბარობაში ასახულია ქართველთა კოსმოგონიური წარმოდგენები, რადგან ეს დღეობა ითვლებოდა ზამთრის მზის ბუნიობის დღეობად. რიგი გადმონაშთებისა ასახავს ბარბალესა და ნიშხის, ე. ი. მზისა და ციური გველეშაპის ანუ ნათლისა და ბნელის კოსმოგონიურ ბრძოლას. ქართველთა ძველ კალენდარში ბარბალეს თვე უნდა ყოფილიყო წლის დასაწყისი თვე. ბარბარობასთან დაკავშირებული იყო სხვადასხვა რიტუალური ღვთაება-ვედრება, შესაწირავები: რძის ფაფა, ხაჭაპურები (სვანეთში), ლობიოს და ნივთებისგულიანი ჯვარდასახული ტაბლები, ე. წ. საბარბალო ტაბლები (ლეჩხუმში) და სხვა. ბარბარობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რიტუალი იყო მეკვლეობა.

მრავალს დაგასწოთ უფალმა!  
ჯანმრთელობას და მხნეობას გისურვებთ!

# პოეზია

ნუგზარ კობერიძე, ამ სახელსა და გვარს ვფიქრობთ კარგად იცნობს ჩვენი გაზეთის მკითხველი. ალალი, სამშობლოს გულშემატკივარი კაცი. პროფესიით პედაგოგი, გამრჯე მუწრე და ღირსეული ოჯახის მამა ლექსის მუზასაც მსახურებს. წმინდა ლექსების კრებული 2015 წელს გამოვიდა ფართო მკითხველის სამსჯავროზე და მოწონება დაიმსახურა. ნიჭიერი შემოქმედის ლექსები შეტანილია ანთოლოგიის „ლექსის აკვანი“ I და II ტომში. 2019 წელს გამოცხადებულ რესპუბლიკურ კონკურსში მისმა ლექსმა „ფიქრების მორევში“ II ადგილი დაიკავა.

გთავაზობთ ნუგზარ კობერიძის ლექსების ციკლს, რომელიც შესულია ანთოლოგიაში „ლექსის აკვანი“ პირველ ტომში.



## ჩემი ინტეგრალები

დანისლული ფიქრები, სევდიანი თვალები, ცრემლი შეუკავები, დარდი შეუდარები! ავსებული ფილა, ავსებული გრალები, მოდით, გამოიცანით ჩემი ინტეგრალები. გარდასული ჟამი და დარჩენილი ღარები, ფიქრი ასჯერ ნაფიქრი, ათასჯერ ნაზმანები. გაფრენილი ოცნება, ძველი ნაიარვეი, მოდით, გამოიცანით ჩემი ინტეგრალები. მიღწეულის ხიბლი და გადახდილი ვალები, შეცნობილი სიმღერა, შეუცნობი ქნარები, დაკარგული იმედი, გულში უცხო ბზარები, მოდით გამოიცანით ჩემი ინტეგრალები. ყველა დარდის თავმოყრა, ერთთან შეუდარები, სული წმინდა, ფაქიზი, წრფელი—ნაზიარები, მაინც ხვალის იმედი, ხვალე გასახარები, მოდით, გამოიცანით ჩემი ინტეგრალები.

## ვერხვის ფოთლები ვუკლვნი ჩემ სიჭაბუკეს


სანამ შრიალეებს ვერხვის ფოთლები და გიბიბინებს ქოჩორი აფრად, ვიდრე გრძობები და სილამაზე არ არის შენგან—„უშორეს ზღაპრად“. იცხოვრე მშვიდად, თესე სიკეთე, არ აყვე: ვნებებს, სიხარბეს, წაიღის, გჯეროდეს, მხოლოდ რწმენით და თმენით ეზიარები სამოთხეს ნამდვილს. კვლავ იშრიალეებს ვერხვის ფოთლები, და ზეციურში ვიქნებით სწორნი, აღარ იმეფებს გავლილი დრონი, „ვაჰ, დრონი, დრონი! ვაჰ, დრონი, დრონი!“

## ვედრება

ღმერთო მისმინე, მომეცი ძალა, ქვეყნად ბევრი რამ მინდა მოვასწორო, ვიდრე სული მაქვს შენგან მოძღვნილი და შორს გავურბი განკითხვის სასწოროს. ნუ მომენევი გზაში სიკვდილით, ოდეს საქმეზე მიხმობდეს გული. შენ მაინც იცი სულ საქმეში ვარ და სიცოცხლე შეყვარებული. ლექსებს, რომ ვწერდე, ცოტა მადროვე და შუა გზაში ნუ ამატირებ, ცოდოა ლექსი მიტოვებული, ლაზარესავით კვლავ აღმადგინე.

## დავით აღმაშენებელს

ქვეყნად არ იყო: „გაერო“, „ნატო“, და „ევროკავშირი“, ისე დატოვე სამშობლო გადაჭიმული-გაშლილი. ნეტავი, დღესაც შეგელოს გავვიძლე შენი ალამით, და რუსთაველი გვამკობდეს თავის ფრთოსანი კალამით. სახელიც კარგი შეგარქვეს—აღმაშენებელი ქვეყნისა, მას შემდეგ არც ერთ ხელმწიფეს ეს სახელი არ ეღირსა.



„უ“ ხშირად ვყოფილვარ უფულო, არასდროს უსიყვარულო, „უ“-ზე დაწყილი დასწყევლო ყველა უმწომ და უგულომ. უჯიშო, უნდო, უმსგავსო, უსიყვარულო, უსტუმრო, არ მინდა და ნუ დამძრახავთ უარით გამოვიტყუმრო. უპრიანია, რომა ვთქვათ: ლალი, გულუხვი და ზრდილი, ყველას სიკეთე ვასწავლე, ვინც კია ჩემი ვაზრდილი. არა მგონია, ჩემზე თქვან, უპურმარილო, უღვინო, „უ“ არ მიხსენონ თორემა, იქნებ გამჩენიც ვუღვინო.

## შემოფეთება

შემომეყარა ქალაი, შემომეფეთა ნადირო, შემოფეთება არც ერთის არ უნდა იყოს ადვილი. გინდ ვეფხვი გადმოშტომია, ან კიდევ დიდი ფოცხვერი, წამსვე შევები მოეჭრება და არ წამოვალ შერცხვენილ. მაგრამ რაღა ვქნა მამინა, შემომეფეთოს თვალები, თვალები შენი—უძირო, ჩემგანაც ნათვალთვალები. მაინც რა ძალა გამოჭვივის, ემაგ მაგიურ თვალებში? თვალების გამო არ გავცვლი უზღვავ, სხვა ლამაზ ქალებში.

## საიდუმლო

სათქმელი თუ არსათქმელი საიმედოდ დაიგულო, რაც კი გონებაში მიიძევს შესანახი საიდუმლო. მეკითხები ხმას არა გცემ, ნეტავ ვისთვის, არა ვინახავ? ყველაფერი მე, რომ ვითხრა ამ კაცობით ვეღარ მნახავ. ზოგ კითხვაზე პასუხს არ ვცემ, საიდუმლოდ ვიკლავ გულში, ვისაც უნდა გამეფიქროს ულალატო სიყვარულში. ვერ მომიგებს, ნუ ეცდება, ბრძოლას მუდამ გული იგებს და ჩემს ნათქვამს ყველა არა მხოლოდ ერთი თუ გაიგებს. ლექსში?—ლექსში შეიძლება, რომ ხატოვნად აისახოს, დანარჩენი საიდუმლო ჩემთან ერთად დაიმარხო.

## უსასრულობა

უსასრულობა ფართო ცნებაა, არავინ არის მისი გამგები, უსასრულობას ეყრდნობა ყველა: ფილოსოფოსი თუ გზის გამგნები. რა არის ნეტა—ეს იდუმალი, გამტანჯა ფიქრმა მძაფრმა-ულევმა, არც მყოფადმი, არც მომავალში, ამის ამხსნელი არ მეგულება. უსასრულობა ჯერ სამყაროსი, მერე სულის და სიყვარულისა, ჩუქნის ცხოვრებას მარადისობას და არა ნებას სინანულისას. თუნდაც სასრული ვინ ახსნა ქვეყნად, ვფიქრობ, ღიაა აქაც საკითხი, ერთ მნიშვნელოვანს ვერ გავცემს პასუხს რაც უნდა იყოს კაცი ნაკითხი. აქ ურევია ვფიქრობ—ღვთის ხელი, ჩვენ უნდა შევძლოთ ამის გაგება, უსასრულობის და დასასრულის აზრთა გამრიგე არის განგება.